განკარგულება:**g-135. 135231233**
თარიღი:**03/05/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის სსიპ - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს სსიპ - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს, სსიპ - თვითმმართველი თემი მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მესტიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ: 42.06.37.008) ნაწილი 13.72 კვ.მ ფართი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ცენტრის არსებობის ვადით.

2.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი